

**დამტკიცებულია**  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2011 წლის 27 აპრილის  
№ 437 დადგენილებით

**სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების)  
განხილვისა და დამტკიცების წესი**

1. სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემუშავების/შედგენის დროს მონაწილე პირები ხელმძღვანელობენ საქართველოს არსებული კანონმდებლობით, შესაბამისი დებულებებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, მოქმედი ინსტრუქციებითა და რეკომენდაციებით.
2. სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემუშავების/შედგენის მონაწილე აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები.
3. სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსის) მომზადების პროცესს კოორდინირებას უწევენ:
  - ა) ფაკულტეტის დონეზე - დეკანატი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
  - ბ) საუნივერსიტეტო დონეზე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სწავლების დეპარტამენტი.
4. სასწავლო კურსის პროგრამას (სილაბუსს) ხელს აწერენ ავტორი (შემდგენელი), საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომლებიც თავისი ხელმოწერით ადასტურებენ, რომ პროგრამა შედგენილია მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფილია სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით.
5. სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) მიღება ხდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესათანხმებლად.
6. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) ძალაში შედის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების თარიღიდან.
7. ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) ხელმისაწვდომობა არსებული წესის შესაბამისად.
8. სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის რეალურ მდგომარეობასა და პროგრამების განხორციელების მიმდინარეობას პერიოდულად აფასებენ უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 აპრილის № 25 ბრძანების "ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თანახმად შექმნილი კომისიები.